აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

ოკუპირებული აფხაზეთის რაიონების ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი

21 მარტი, 2018

შინაარსი

1. **შესავალი**
2. **მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები**
3. **შრომის ბაზრის სტატისტიკური მონაცემები (რაიონების მიხედვით)**
4. **სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების სტატისტიკური მონაცემები (რაიონების მიხედვით)**
5. **დასკვნები**

1. შესავალი

ჩვენი ანალიტიკური ბარათის მიზანია, გავაშუქოთ და განვიხილოთ ის ზოგადი მდგომარეობა, რომელიც ეხება ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის სტატისტიკურ მონაცემებს, ხოლო შემდეგ - ოკუპირებული აფხაზეთის რაიონების ჭრილში გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან (პირველ რიგში, შრომის ბაზართან) დაკავშირებულ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათში მოყვანილი სტატისტიკური ცხრილები აგებულია ჩვენს მიერ, აფხაზეთის სტატისტიკის „სახელმწიფო“ სამმართველოს სხვადასხვა წლის სტატისტიკური კრებულების [1] მონაცემებსა და სხვა საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, რათა უფრო ნათლად აგვესახა საქართველოს ამ ოკუპირებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური „განვითარების“ გარკვეული ტენდენციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის მონაცემები ჯერჯერობით არსად ფიქსირდება.

2. მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მოსახლეობასთან დაკავშირებული ამჟამინდელი მონაცემები არ არის დაზუსტებული.

დემოგრაფიის მეცნიერებიდან ცნობილია, რომ მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრაში მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

1. დაბადებული ადამიანების რაოდენობა;
2. გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა;
3. ქვეყანაში საცხოვრებლად შემოსული ადამიანების რაოდენობა;
4. ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი დატოვეს და ქვეყნიდან გავიდნენ.

პირველი ორი აყალიბებს მოსახლეობის ბუნებრივი მატება-კლების მაჩვენებელს, ხოლო დანარჩენი ორი - მიგრაციული მატება-კლების მაჩვენებელს. ორივე მაჩვენებელი განაპირობებს მოსახლეობის საერთო რაოდენობის მატება-კლების მაჩვენებლის ფორმირებას.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჯერ 2003 წელს, შემდეგ კი - 2011 წელს ჩატარდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით სხვადასხვა წყაროში ფიგურირებს სხვადასხვა ციფრი.

სტატისტიკის „სახელმწიფო“ სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა წლის სტატისტიკურ კრებულებში დაფიქსირებულია 214,016 კაცი, ხოლო ინტერენეტ სივრცეში, აფხაზეთის მოსალეობასთან დაკავშირებით შექმნილ ე.წ. ვიკიპედიის ვებ-გვერდზე ერთი და იმავე სტატიის ფარგლებში დაფიქსირებულია სამი განსხვავებული ციფრი: სტატიის შესავალში ნახსენებია 215,972 კაცი, შემდეგ ტექსტში კი - აფხაზეთის ეროვნულ შემადგენლობის დინამიკასთან დაკავშირებულ ცხრილში 2003 წლის მიხედვით ფიგურირებს 214,016 კაცი, ხოლო 2003 წლის აფხაზეთის რაიონების მიხედვით მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცხრილში დაფიქსირებულია 215,272 კაცი [2].

ჩვენი ანალიზის დროს ვიხელმძღვანელეთ ოფიციალური სტატისტიკის კრებულებით, სადაც 2003 წლის აღწერის მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 214,016 კაცი, ხოლო 2011 წლის აღწერის მიხედვით - 240,705 კაცი (იხ. **ცხრილი** A). ანუ ამ მონაცემების მიხედვით 2003-2011 წლებში მოსახლეობა გაიზარდა 26,689 კაცით.

ცხრილი A

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა (2003 – 2017 წწ) (წლის დასაწყისისთვის)

2003	214,016**
2004	217,281 (214,401)*
2005	220,540 (214,603)*
2006	223,847 (215,774)*
2007	227,204 (215,926)*
2008	230,611 (215,120)*
2009	234,069 (215,567)*
2010	237,579 (216,708)*
2011	240,705**
2012	241,414
2013	242,028
2014	242,756
2015	243,206
2016	243,564
2017	243,936

* ციფრი ფრჩხილებში წარმოადგენს ძველ მონაცემს, რომელიც გადაანგარიშებულია 2011 წლის აღწერის შემდეგ.
** ციფრები წარმოადგენენ 2003 და 2011 წლებში ჩატარებული აღწერის მონაცემებს.

ამავე სტატისტიკური კრებულების მონაცემებით (იხ. **ცხრილი** B) ბუნებრივი მატება 2003-დან 2011 წლის ჩათვლით შეადგენს +3,629 კაცს, ხოლო მიგრაციული კლება - 854 კაცს. ანუ, სულ მოსახლეობის მატება ამ წლებში შეადგინა 2,775 კაცი. ისმის კითხვა, საიდან აღმოჩნდა დამატებით 23,914 კაცი (= 26,689 – 2,775)?

ცხრილი B

მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მატება-კლება

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	სულ
ბუნებრივი მატება-კლება	+674	+686	+136	+222	+11	+437	+508	+457	+498	+535	+456	+537	+273	+303	**+5733**
დაბადებული	1,816	1,919	1,669	1,715	1,772	1,990	2,207	2,156	2,143	2,258	2,017	2,004	1,927	1,768	27,361
გარდაცვლილი	1,142	1,233	1,533	1,493	1,761	1,553	1,699	1,699	1,645	1,723	1,561	1,467	1,654	1,465	21,628
მიგრაციული მატება-კლება	-289	-484	-349	-70	-817	+10	+633	+301	+211	+79	+272	-87	+85	+69	**-436**
ჩამოსული	533	251	213	409	671	795	1203	689	583	413	659	505	506	402	7832
გასული	822	735	562	479	1488	785	570	388	372	334	387	592	421	333	8268

გარდა ამისა, იმავე ოფიციალური მონაცემების მიხედვით ოკუპირებულ აფხაზეთში თუ 2003 წელს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 214,016 კაცი, 2017 წლის 1 იანვრისთვის ის გახდა 243,936 კაცი (იხ. **ცხრილი** A). ანუ 2003-2016 წლებში მოსახლეობა გაიზარდა 29,920 კაცით.

ამავე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (იხ. **ცხრილი** B) ბუნებრივი მატება 2003-დან 2016 წლის ჩათვლით შეადგენს +5,733 კაცს, ხოლო მიგრაციული კლება - 436 კაცს. ანუ, სულ მოსახლეობის მატებამ 2003-დან 2016 წლის ჩათვლით შეადგინა 5,297 კაცი.

გაუგებარი ხდება, საიდან აღმოჩნდა დამატებით 24,623 კაცი (= 29,920 – 5,297)?

ამასთან ერთად, თუ 2003 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ვიანგარიშებთ მოსახლეობის მატების საშუალო წლიურ მაჩვენებელს, მივიღებთ შემდეგ სურათს: საერთო მოსახლეობის რიცხოვნობის ცხრილის მიხედვით (**ცხრილი** A), ეს მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 2,137 კაცს ($\frac{243,936-214,016}{14}$), ხოლო მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მატება-კლების **ცხრილი B-ს** მიხედვით - დაახლოებით 378 კაცს ($\frac{5,733-436}{14}$).

ისმის კითხვა, რით არის გამოწვეული ასეთი სერიოზული შეუსაბამობა ამ მაჩვენებლის გამომხატველ რიცხვებში?

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის აღწერის შემდეგ გამოსულ სტატისტიკურ კრებულებში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი 2004 წლიდან 2010 წლის ჩათვლით არის კორექტირებული, რაც არის კიდევაც აღნიშნული შესაბამის კრებულებში, მაგრამ ამ კორექტირების არც მიზეზი არის ახსნილი და არც რაიმე გამამართლებელი არგუმენტი არის მოყვანილი.

სავარაუდოდ, არსებობს ორი პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებზე.

პირველი - აღრიცხვის დროს დაშვებულია შეცდომები, რაც იმას ნიშნავს, რომ სტატისტიკურ აღრიცხვიანობის მიმართულებით ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. დამოუკიდებლობის უკვე 25-ე წლის თავზე სერიოზულ ქაოსს აქვს ადგილი.

მეორე - ციფრების ფალსიფიცირებას აქვს ადგილი.

ჩვენი აზრით, უკანასკნელი უფრო შეესაბამება სინამდვილეს.

სავარაუდოდ, ეს განპირობებულია იმით, რომ როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობას, ერთი მხრივ, შეუძლია ამ ციფრებით მანიპულირება პოლიტიკური არჩევნების დროს, ხოლო მეორე მხრივ - საკუთარ მოსახლეობასთან რეალურად არსებულ სავალალო მდგომარეობაზე ღიად საუბარი არ აწყობს, რადგან მოუწევს ამ პრობლების გადაჭრის გზებზე ჯერ საუბარი, შემდეგ კი - მათი

მოგვარება, რაც ძალზე ძნელი იქნება. გარდა ამისა, ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობას სურს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე რეგიონი წარმოაჩინოს, როგორც განვითარებადი და წარმატებული, ომით გამოწვეული სხვადასხვა პრობლემის, სირთულეებისა და გადატანილი გაჭირვების მიუხედავად.

ვფიქრობთ, რომ რეგიონს, რომელსაც აქვს პრეტენზია სახელმწიფოებრიობაზე, როგორც მინიმუმ, ოფიციალური სტატისტიკის კრებულებში არ უნდა ჰქონდეს დაფიქსირებული ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელთან დაკავშირებით, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობა.

საერთოდ, მოსახლეობის საყოველთაო 1989 წლის აღწერის თანახმად, აფხაზეთში მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 525,061, აქედან ეთნიკურად აფხაზები შეადგენდნენ 93,267, ანუ 17,76%, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 2003 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად, აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 215,972, აქედან აფხაზი 94,606, ანუ 43,95%, ხოლო 2011 წელს საერთო რიცხვი იყო 240,705, აქედან 122,069, ანუ 50,71% ეთნიკურად აფხაზი.

აღნიშნულ მონაცემს არ აღიარებს საქართველოს მთავრობა.

საერთაშორისო კონსულტანტის, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის დოქტორის რალფ ჰაკერტის მიმოხილვაში [3] აღნიშნულია, რომ საქსტატის მიერ განხორციელებული ბოლო ორი ამგვარი შეფასების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2003 წელს შეადგინა დაახლოებით 179,000 მოსახლე, ხოლო 2005 წელს დაახლოებით 178,000 მოსახლე. კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის შეფასებით, აფხაზეთის მოსახლეობა 2006 წელს შეადგენდა 157,000-დან 190,000-მდე კაცს, ხოლო გაეროს მოსახლეობის განყოფილების 1998 წლის შეფასებით - 180,000-დან 220,000-მდე კაცს. ამასთან ერთად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან დაკავშირებული ამუამინდელი მონაცემები კიდევ უფრო დაუზუსტებელია, თუმცა ყველაზე ხშირად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებისას 70,000 სახელდება. 2017 წელს გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ წარმოებული შეფასების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 2011 წელს 3,992 მილიონს შეადგენდა, აქედან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების რაოდენობამ ერთად 220,000-ზე ნაკლები შეადგინა.

დანართი 1-ის პირველ ცხრილში მოცემული ციფრები აღებულია აფხაზეთის ე.წ რესპუბლიკის სტატისტიკის სამმართველოს მიერ მომზადებული მასალებიდან, ამრიგად, სანდოობის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. ცხრილიდან ჩანს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქ. სოხუმში, ხოლო გალის რაიონი მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, გაგრისა და გუდაუთის რაიონების შემდეგ, მეოთხე პოზიციაზეა.

აფხაზი ეთნოსის მდგომარეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები მეტყველებენ მათ დემოგრაფიულ პრობლემებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო საექსპერტო ორგანიზაციებისა და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოსაზრებები დემოგრა-ფიასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებისაგან. ისინი მიიჩნევენ, რომ არასერიოზულია ეთნიკური აფხაზების რიცხოვნობის ხელოვნურად მატება, მითუმეტეს, როცა ასეთი „ხრიკების“ გამოყენება პრობლემას ვერ აგვარებს. დღევანდელ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული შიდა სოციალური პრობლემები არის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ამ პრობლემისა.

3. შრომის ბაზრის სტატისტიკური მონაცემები (რაიონების მიხედვით)

აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკაში სერიოზული განხილვის საგანია შრომის ბაზარი, რომელიც უამრავ ფუნქციას ასრულებს, მათ შორის განსაზღვრავს ხელფასების სიდიდეს, აყალიბებს სამუშაო ძალის დაქირავების პირობებს, განაპირობებს დასაქმებისა და უმუშევრობის დონესა და სტრუქტურას და სხვ.

საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანაში შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან წილად განაპირობებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და ხელისუფლებისთვის წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო მიმართულებას.

ოკუპირებულ აფხაზეთში ამ სექტორში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, შეინიშნება რიგი პრობლემები, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით და გარემოებით, შრომის შიდა ბაზარზე არსებული სხვადასხვა ხარვეზით, მათ შორის შრომის ბაზრის დამარეგულირებელი როგორც სახელისუფლებო, ისე საზოგადოებრივი ინსტიტუტების არარსებობით, რაიონების არათანაბარი განვითარებით, დასაქმების მიმართულებით სახელმწიფო ორგანოების არაეფექტური მუშაობით, შრომის ბაზრის სტრუქტურული დისბალანსებით პროფესიულ, რაიონულ და დარგობრივ ჭრილში და ა. შ.

თუ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების „სახელმწიფო“ სტატისტიკის სამმართველოს მიერ შედგენილი ბიულეტენით ვიხელმძღვანელებთ, მათი მონაცემებით, ეკონომიკის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 2008 წლიდან 2016 წლამდე შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. **ცხრილი** C):

ცხრილი C

	2008	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
დასაქმებულთა რაოდენობა, სულ	**35,440**	**36,527**	**38,293**	**40,541**	**41,566**	**41,460**	**40,581**	**42,277**	**41,408**
მრეწველობა	2,162	2,487	2,566	2,745	2,953	2,421	1,826	2,370	1,827
სოფლის მეურნეობა	390	301	273	351	275	267	397	443	322
სატყეო მეურნეობა	371	351	364	308	312	296	223		
ტრანსპორტი	1,129	1,039	1,104	1,216	1,277	1,460	1,431	1,337	1,303
კავშირგაბმულობა	1,215	1,166	1,147	1,121	1,107	1,115	953	1,100	1,144
მშენებლობა	2,069	2,224	2,818	3,080	3,619	3,162	2,620	1,800	1,658
ვაჭრობა და საზ. კვება	2,663	2,578	2,812	2,797	2,745	2,739	2,745		
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება	1,024	1,075	1,091	1,140	1,160	1,055	1,037		
გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული	55	32	32	38	40	42	42	37	24
საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობა	2,476	2,584	2,690	3,099	3,206	3,230	3,078		
ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა	6,686	6,777	6,872	6,967	7,105	7,157	7,283		
განათლება	6,687	6,804	6,977	6,987	7,409	7,747	7,832		
ხელოვნება და კულტურა	999	1,068	1,071	1,121	1,128	1,147	1,125		
მეცნიერება	1,078	1,172	1,252	1,261	1,239	1,623	1,761	1,284	1,054
ფინანსები და კრედიტირება	606	655	713	723	738	756	724	792	845
მმართველობითი ორგანოები	4,738	5,008	5,182	6,043	5,799	5,920	6,227		
სხვა დარგები	1,092	1,206	1,329	1,544	1,454	1,323	1,277		

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად ადამიანები დასაქმებული არიან ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის, განათლებისა და მმართველობით ორგანოებში, საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში (ანუ დიდ წილად საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში) და მხოლოდ შემდეგ მოდის ისეთი დარგები, როგორიცაა: ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და ა.შ.

თუ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს დავუჯერებთ, რომლის მიხედვით ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობა 2016 წლის დასაწყისისთვის შეადგენს 243,564 ადამიანს, ზემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით დასაქმებულთა დაბალი მაჩვენებლები მეტყველებს შრომის ბაზარზე არსებულ ძალიან მძიმე მდგომარეობაზე და, შესაბამისად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე რეგიონში.

ამრიგად, ოკუპირებულ აფხაზეთში დასაქმების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, შემოსავლების მთავარ წყაროდ რესპოდენტთა 40%-სთვის წარმოადგენს ხელფასი [4].

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ დასაქმების პრობლემის „მედლის“ მეორე მხარეს წარმოადგენს უმუშევრობის პრობლემა და, შესაბამისად, დაძაბულობა შრომის ბაზარზე.

ოკუპირებული აფხაზეთის ოფიციალურ სტატისტიკაში წინა პლანზე გამოტანილია დასაქმების დონის მონაცემები (მათ შორის რაიონულ ჭრილში) და გარკვეული მიზეზების გამო მიჩქმალულია უმუშევრობის დონესთან დაკავშირებული მონაცემები, რაც რეალური მდგომარეობის აღწერის ნახევარ სიმართლეს წარმოადგენს.

ამასთან ერთად, გვინდა ყურადღება მივაქციოთ აფხაზეთის ე.წ. მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების რამდენიმე განცხადებას, საიდანაც ჩანს, რომ გარკვეული დოზით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შელამაზება მაინც ხდება [5].

მაგალითად, შრომის სამინისტროს შრომისა და დასაქმების სამმართველოს უფროსის ჯონ აგრბას განცხადების მიხედვით, 2015 წელს საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა მინიმალური ხელფასი შეადგენდა თვეში 60 რუბლს (= 1 აშშ $), მაშინ როდესაც საარსებო მინიმუმი - 5,000 რუბლს (= 82 აშშ $) თვეში. მისი მოსაზრებით, უმუშევრობის დონე 40%-ზე ნაკლები არ არის [6]. ხოლო 2018 წლის განცხადების მიხედვით, მან პირდაპირ აღიარა, რომ არ არსებობს იურიდიულად განსაზღვრული უმუშევრობის ცნება და, შესაბამისად, არ არსებობს არანაირი სტატისტიკური მონაცემი უმუშევრობის დონის შესახებ საერთოდ და, განსაკუთრებით, შინამეურნეობებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია უმუშევრობის დონის ზუსტი გაანგარიშება. მისი თქმით, ამ მდგომარეობით არის განპირობებული ის, რომ რეგიონში არ არსებობს არანაირი ფინანსური დახმარებები უმუშევრებისთვის. აქვე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ გამოვიყენებთ უმუშევრობის დონის ზოგადად მიღებულ გაანგარიშების სტანდარტულ წესს ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთში უმუშევრობის დონე შეადგენს 72%-ს, და ამ მხვრივ რეგიონი შეადარა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას [7].

გარდა ამისა, აღსანიშნავია გერმანულ ჟურნალ „World Economy“-ში (2016 წლის აგვისტო) გამოქვეყნებული აფხაზეთის „სახელმწიფო“ სტატისტიკის სამმართველოს უფროსის კამა გოგიას, მისი მოადგილის ლელა კაჭარავასა და ემდ, პროფესორ მარტიკ გასპარიანის ერთობლივი სტატია, რომელიც ეხება აფხაზეთში არსებულ სიღარიბისა და უმუშევრობის დონეების სტატისტიკურად შესწავლას. ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ რეგიონში არ არის შემუშავებული არც სიღარიბის და არც უმუშევრობის ცნებების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რის გამო შეუძლებელი

ხდება ამ ფენომენების სტატისტიკურად აღრიცხვა. ამიტომ, აპელირებენ მხოლოდ დასაქმების მაჩვენებელს. სტატიის მიხედვით, **აფხაზეთში მოსახლეობის 16,7% დასაქმებულია.** აღნიშნულია, რომ ამავე დროს სტატისტიკურ აღრიცხვაში ვერ ხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც სეზონურად არიან დასაქმებულები, თუმცა, აფხაზი სტატისტიკოსები ვარაუდობენ, რომ სეზონურად დასაქმებულთა რიცხვი 50%-ს უტოლდება [8].

ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობის 59,2% შრომისუნარიანია, შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობა შეადგენს საერთო მოსახლეობის 17,3%, ხოლო 23,5% - შრომისუნარიან ასაკზე უფროს მოსახლეობაზე მოდის (იხ. **ცხრილი** D).

ცხრილი D

	2014		**2015**		**2016**	
	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%
მოსახლეობა, სულ (წლის ბოლოს)	243,206	100	243,564	100	243,936	100
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობა, სულ	42,026	17,3	42,088	17,3	42,152	17,3
შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, სულ	144,051	59,2	144,263	59,2	144,483	59,2
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობა, სულ	57,129	23,5	57,213	23,5	57,301	23,5

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობიდან, ანუ 59,2%-დან დასაქმებულია **მხოლოდ 16,7%,** რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

აღწერილი მდგომარეობის გათვალისწინებით, გვინდა შევეხოთ გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს და განვიხილოთ დასაქმების მდგომარეობა აფხაზეთის რაიონების მიხედვით.

აფხაზეთის ე.წ. მთავრობის დასაქმებასთან დაკავშირებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით 2016 წელს ყველაზე ცუდი მდგომარეობა ჰქონდა სოხუმის (738 დასაქმებული), გულრიფშის (1,175 დასაქმებული), ტყვარჩელის (1,327 დასაქმებული) და გალის (1,694 დასაქმებული) რაიონებს, ხოლო შედარებით უკეთესი მდგომარეობა იკვეთებოდა ქ. სოხუმში (24,260 დასაქმებული) და გაგრისა (6,515 დასაქმებული) და გუდაუთის (3,311 დასაქმებული) რაიონებში.

ამასთან, გვინდა შევადაროთ დასაქმებულთა და საშუალო ხელფასის მაჩვენებლები ქალაქ სოხუმის, გაგრისა და გალის რაიონების მიხედვით იმ თვალსაზრისით, რომ ირიბად მაინც შეგვექმნას გარკვეული წარმოდგენა ამ რაიონებში არსებული უმუშევრობის დონესთან დაკავშირებით.

2016 წელს ქ. სოხუმში დასაქმებული იყო 24,260 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი 11,632.4 რუბლს (= 176.0 აშშ $) შეადგენდა. (*აქ და ბარათის სხვა ადგილებში (მათ შორის დანართის ცხრილებში) აშშ დოლარის მაჩვენებელი გაანგარიშებულია ყოველი წლის რუსული რუბლის მიმართ შესაბამისი კურსის საშუალოწლიური მონაცემის მიხედვით* - იხ. **დანართი 1-ის ცხრილი 4**). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმში 1.01.2017 წლისთვის ცხოვრობდა 64,640 კაცი. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ქ. სოხუმში დასაქმებულების წილი ქალაქის საერთო მოსახლეობაში შეადგენს 37,5%-ს.

2016 წელს გაგრის რაიონში დასაქმებული იყო 6,515 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენდა 9,425.3 რუბლს (= 142.6 აშშ $), ხოლო 1.01.2017 წლისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა - 39,549 კაცს. შესაბამისად, გაგრის რაიონში დასაქმებულების წილი რაიონის საერთო მოსახლეობაში შეადგენს 16,5%-ს.

რაც შეეხება გალის რაიონს - აქ 2016 წელს დასაქმებული იყო 1,694 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენდა 7,887.8 რუბლს (= 119.4 აშშ $), ხოლო 1.01.2017 წლისთვის მოსახლეობის

რიცხოვნობა - 30,251 კაცს. შესაბამისად, გალის რაიონში დასაქმებულების წილი რაიონის საერთო მოსახლეობაში შეადგენს 5,5%-ს.

ამ შედარებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გალის რაიონში უმუშევრობის დონე ბევრად უფრო დიდია, ხოლო ხელფასების სახით მიღებული შემოსავლების დონე - ბევრად უფრო მცირე, ვიდრე გაგრის რაიონში და მითუმეტეს, ქ. სოხუმში.

დასაქმებულთა და მათი საშუალო წლიური ხელფასების დინამიკა 2010-2016 წლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი 1-ის მეორე და მესამე ცხრილებში.

ოკუპირებული აფხაზეთის ყველა რაიონში საშუალოწლიური ხელფასების დინამიკა არასტაბილურად იცვლებოდა წლების მიხედვით, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი თითქმის ყველა რაიონში წლების მიხედვით ძირითადად მცირდებოდა. შედარებით სტაბილურად იზრდებოდა მხოლოდ ქ. სოხუმის დასაქმებულთა მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებში დასაქმების მხრივ ისეთმა რაიონებმა, რომლებსაც ჰქონდათ უფრო უკეთესი მდგომარეობა, ბოლო წლებში დაკარგეს პოზიციები. განსაკუთრებით ეს ეხება გულრიფშის რაიონს. 2010 წელს თუ ეს რაიონი იყო მე-5 ადგილზე (2,093 დასაქმებული), 2016 წელს აღმოჩნდა მე-7 ადგილზე (1,175 დასაქმებული).

საინტერესოა დასაქმებულთა დინამიკა ***გალის რაიონთან*** დაკავშირებით - თუ 2010 წელს ეს რაიონი იმყოფებოდა მე-7 ადგილზე (1,581 დასაქმებული) და წინ უსწრებდა მხოლოდ სოხუმის რაიონს, 2016 წლისთვის უკვე მე-5 ადგილზე იმყოფებოდა (1,694 დასაქმებული). თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს განპირობებული იყო უფრო გალის რაიონის მხრიდან პოზიციების შენარჩუნებით და სხვა რაიონებში სამუშაო ადგილების შემცირებით, ვიდრე რაიონის ეკონომიკური ზრდით და განვითარებით.

გარდა ამისა, ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო წლების მიხედვით ძალზე აქტუალურია ე.წ. „გასტარბაიტერების“ საკითხი (გარკვეული სტატისტიკური მონაცემი მიგრაციის სიტუაციასთან დაკავშირებით იხ. **დანართის ცხრილი 5**).

მიუხედავად იმისა, რომ შრომითი მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობისათვის წარმოადგენენ კონკურენტებს შრომის ბაზარზე, მათი არსებობა აფხაზეთში განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით.

როგორც კერძო, ისე „სახელისუფლებო“ დამსაქმებელთა განცხადებებით, მათ უფრო ურჩევ-ნიათ „გასტარბაიტერების“ დასაქმება ბევრი მიზეზის გამო, და აქ მთავარი არ არის, რომ ისინი იაფ მუშა ხელს წარმოადგენენ.

მაგალითად, მშენებლობის სფეროში დამსაქმებელთა აზრით, ბევრ ადგილობრივს ახასიათებს შრომითი დისციპლინის დაცვის მიმართ უპატივცემულობა და სამუშაოების დროულად შესრულების მიმართ უპასუხისმგებლობა.

რაც შეეხება დასაქმებას სხვა სფეროებში (მაგალითად, ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურებში), ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თვალსაზრისით, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის დამოკიდებულება გარკვეული პროფესიებისა და სამუშაოების მიმართ, რომლებსაც უბრალოდ არ შეასრულებენ საკუთარი „თავმოყვარეობის“ გამო. მათი თქმით, ადგილობრივებისთვის ყველაზე აქტუალურია მძღოლის ან დარაჯის ვაკანსიები [9].

4. სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების სტატისტიკური მონაცემები (რაიონების მიხედვით)

აფხაზეთის ე.წ. მთავრობის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რაიონულ ჭრილში შემდეგი სურათი ვლინდება:

ა. მრეწველობა

2016 წელს წარმოებული და რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიხედვით ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო სოხუმის (658,292 აშშ $ და 721,852 აშშ $), ტყვარჩელისა (796,004 აშშ $ და 809,624 აშშ $) და გალის (1,134,987 აშშ $ და 1,148,607 აშშ $) რაიონებში, ხოლო ყველაზე კარგი - ქ. სოხუმში (48,040,254 აშშ $ და 59,927,360 აშშ $) და ოჩამჩირეს (17,430,387 აშშ $ და 17,179,176 აშშ $) რაიონში.

აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა არასტაბილურად იცვლებოდა წლების მიხედვით. შედარებით სტაბილურად იზრდებოდა ქ. სოხუმის, გაგრისა და გალის რაიონების მაჩვენებლები. სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მაჩვენებლები ჯერ მკვეთრად გაიზარდა და ბოლოს შემცირდა. აღსანიშნავია ოჩამჩირის რაიონის მაჩვენებლების ყველაზე მკვეთრი ზრდა 2016 წელს და ტყვარჩელის რაიონის მაჩვენებლების არასტაბილური რყევები - წლების მიხედვით შემცირება-ზრდის მონაცვლეობა და ბოლოს მკვეთრი შემცირება (იხ. **დანართი 1-ის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით სამრეწველო პროდუქციაში იგულისხმება სასურსათო და არასასურსათო პროდუქცია.

პირველი მოიცავს ისეთი სახეობის პროდუქციას, როგორიცაა: პური და პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, რძის ნაწარმი, ფქვილი, სიმინდის ფქვილი, თევზპროდუქტები, შავი ბაიხოს ჩაი, ღვინო, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყლები, ხოლო მეორე - ისეთ პროდუქციას, როგორიცაა: ელექტროენერგია, ხე-ტყის მასალა (მორები, ფიცრები), შესადუღებელი ლითონკონსტრუქციები, პარკეტი, შპონი, სამკერვალო ნაწარმი, თამბაქოს ნაწარმი, კირი, ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილები, ღორღი, კომბინირებული საკვები.

ბ. სატყეო მეურნეობა

2016 წელს ხე-ტყის დამზადების მოცულობის მიხედვით პირველ და მეორე ადგილზე იმყოფებიან, შესაბამისად, გაგრის ხე-ტყის-კომბინატი (14,739 მ^3) და სოხუმის ხე-ტყის მეურნეობა (1,941 მ^3), ხოლო ყველაზე ბოლო პოზიციებზე - გალისა (265 მ^3) და ტყვარჩელის (397 მ^3) ხე-ტყის მეურნეობები.

ეს მაჩვენებელი ყველა რაიონის მიხედვით განიცდიდა არასტაბილურ რყევებს. გამონაკლისია გალის ხე-ტყის მეურნეობა, სადაც ხე-ტყის დამზადების მოცულობა ბოლო წლებში მცირე ტემპით, თუმცა თანდათანობით იზრდებოდა (იხ. **დანართი 1-ის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

გ. კაპიტალური მშენებლობა

2016 წელს ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების მოცულობა ყველაზე მეტად განხორციელდა ქ. სოხუმში (17,917,571 აშშ $) და გუდაუთის (8,871,368 აშშ $) რაიონში, ხოლო

ყველაზე ნაკლებად - გალის (86,006 აშშ $), ტყვარჩელის (736,277 აშშ $) და სოხუმის (981,785 აშშ $) რაიონებში.

ოკუპირებული აფხაზეთის სტატისტიკის „სახელმწიფო“ სამმართველოს მონაცემების მიხედვით, ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში შედის ახალ მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, გაფართოებასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე, ამასთან კაპიტალურ და ტექნიკურ რემონტზე, ავტოგზების რემონტსა და სხვა ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონებთან განსხვავებით, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გალის რაიონში 2012-2016 წლებში სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საერთოდ არ შესრულებულა ავტოსაგზაო-სარემონტო სამუშაოები.

ამ მაჩვენებლის დინამიკაც რაიონების მიხედვით ხასიათდება არასტაბილური რყევებით. პირველ ადგილზე მყოფ ქ. სოხუმის მიხედვით ეს მაჩვენებელი 2013-2014 წლებში ჯერ შემცირდა, მერე გაიზარდა, 2015 წელს მკვეთრად შემცირდა, ხოლო 2016 წელს მცირე მოცულობით ისევ გაიზარდა. მსგავსი დინამიკა ახასიათებს სოხუმისა და ტყვარჩელის რაიონების მაჩვენებლებს. გაგრის, ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი 2013-2015 წლებში სტაბილურად მცირდებოდა, ხოლო 2016 წელს მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია ყველაზე ბოლო პოზიციაზე მყოფი გალის რაიონის მაჩვენებლის დინამიკა, რომლის მიხედვით 2013 წელს შეიმჩნეოდა კაპიტალური სამშენებლო სამუშაოების ჯერ შემცირება, 2014 წელს - შეწყვეტა, ხოლო 2015-2016 წლებში მცირე მოცულობით ჯერ აღდგენა და შემდეგ - ზრდა (იხ. **დანართი 1-ის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

<u>**დ. ვაჭრობა**</u>

2016 წელს ოფიციალურად აღრიცხული საწარმოების, ბაზრების და ფიზიკური პირების მიხედვით საცალო საქონელთბრუნვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ტყვარჩელის (570,520 აშშ $), ოჩამჩირის (1,029,055 აშშ $), გალის (2,562,046 აშშ $) და გულრიფშის (2,616,525 აშშ $) რაიონებში, ხოლო ყველაზე მაღალი - ქ. სოხუმში (148,718,220 აშშ $) და გაგრის (43,271,791 აშშ $) რაიონში.

საცალო საქონელბრუნვის მაჩვენებლის დინამიკა რაიონების მიხედვით განსხვავებულია. ქ. სოხუმში, გუდაუთის, გულრიფშისა და გალის რაიონებში შეიმჩნევა ჯერ შემცირება, ხოლო შემდეგ - ზრდა. გაგრის რაიონში - სტაბილური შემცირებები და ბოლოს მცირე მოცულობით - ზრდა. სოხუმისა და ოჩამჩირეს რაიონებში - სტაბილური ზრდა. ტყვარჩელის რაიონში - ჯერ სტაბილური ზრდა და ბოლოს - შემცირება (იხ.**დანართი 1-ის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

<u>**ე. მომსახურების სფერო**</u>

2016 წელს ფასიანი მომსახურების მოცულობა ყველაზე მეტი იყო დაფიქსირებული ქ. სოხუმში (67,663,438 აშშ $) და გაგრის (42,430,387 აშშ $) რაიონში, ხოლო ყველაზე ნაკლები - ტყვარჩელის (449,455 აშშ $), სოხუმის (649,213 აშშ $), ოჩამჩირის (1,206,113 აშშ $), გულრიფშის (1,266,646 აშშ $) და გალის (1,478,510 აშშ $) რაიონებში.

ამ მაჩვენებლის დინამიკა ყველა რაიონებში თითქმის ყველა აღნიშნული წლების მიხედვით ყოველგვარი რყევების გარეშე სტაბილურად იზრდება (იხ. **დანართი 1-ის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

ვ. ფინანსები

2016 წელს მომგებიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობა ყველაზე მეტი იყო ქ. სოხუმში (359) და გაგრის რაიონში (156), ხოლო ყველაზე ნაკლები - ტყვარჩელის (6), სოხუმის (15), გალის (15), გულრიფშის (22) და ოჩამჩირეს (31) რაიონებში.

აქედან ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველაზე მეტი მოგება მოდის ქ. სოხუმსა (50,811,138 აშშ $) და გაგრის (42,088,377 აშშ $) რაიონზე, ხოლო ყველაზე ნაკლები - გალის (87,772 აშშ $), ტყვარჩელის (408,595 აშშ $), გულრიფშის (4,458,232 აშშ $), ოჩამჩირისა (7,808,716 აშშ $) და სოხუმის (7,996,368 აშშ $) რაიონებზე.

მომგებიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობისა და მათ მიერ მიღებული მოგების მაჩვენებლების დინამიკა თითქმის ყველა რაიონის მიხედვით შედარებით სტაბილურია.

აღსანიშნავია მომგებიანი ორგანიზაციების რაოდენობის მაჩვენებელი ქ. სოხუმში, რომელიც 2013 წლიდან არის მკვეთრად შემცირებული, მაგრამ ამავე დროს ამ ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგების მოცულობის დინამიკა 2016 წლამდე გაიზარდა კიდეც (იხ. **დანართის ცხრილები 6ა, 6ბ, 6გ, 6დ**).

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ გალის რაიონში ფუნქციონირებად ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ადგილი აქვს გარკვეულ თანამდებობრივ დისკრიმინაციას. ეს გამოიხატება იმაში, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია აფხაზებით, მაშინ როდესაც რაიონში ქართველი მოსახლეობა შეადგენს 98%-ზე მეტს (იხ. **დანართი 2 -** *ინფორმაცია გალის რაიონში მოქმედი ორგანიზაციების შესახებ აღებულია შემდეგი წყაროდან - http://www.tppra.org/ru/catalog/гал - Торгово-Промышленная Палата Республики Абхазия / Каталог Предприятий / Гал*).

გარდა ამისა, აგრეთვე აღსანიშნავია „სახელმწიფო“ საბიუჯეტო სახსრების განაწილება რაიონულ ჭრილში.

აქ ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მიხედვით (დოტაციების გათვალისწინების გარეშე) ყველაზე მეტი შემოსავალი შემოდის ქ. სოხუმიდან (15,644,673 აშშ $), გაგრისა (5,897,397 აშშ $) და გუდაუთის (4,297,820 აშშ $) რაიონებიდან, ხოლო ყველაზე ნაკლები - ტყვარჩელის (526,634 აშშ $), გალის (814,164 აშშ $), სოხუმისა (898,910 აშშ $) და გულრიფშის (1,071,428 აშშ $) რაიონებიდან. რაც შეეხება ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს - აქ ყველაზე მეტი ხარჯი მოდის ქ. სოხუმსა (18,308,111 აშშ $) და გაგრის (6,240,920 აშშ $) რაიონზე, ხოლო ყველაზე ნაკლები - სოხუმის (1,348,365 აშშ $), ტყვარჩელის (2,207,929 აშშ $), გულრიფშისა (2,332,021აშშ $) და გალის (2,767,857 აშშ $) რაიონებზე.

ამრიგად, **ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების განაწილების** დინამიკას - წლების მიხედვით რეგიონულ ჭრილში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლების, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში, შედარებით სტაბილური ზრდა (იხ. **დანართი 1-ის ცხრილები 7ა, 7ბ**).

ამრიგად, ყველა ზემოთ აღნიშნული დარგისა და ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების **დინამიკა 2013-2016 წლების მიხედვით წარმოდგენილია დანართის ცხრილებში 6ა, 6ბ, 6გ, 6დ,** ხოლო ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების **დინამიკა 2012-2016 წლების მიხედვით - დანართი 1-ის ცხრილებში 7ა, 7ბ.**

ზემოთ აღწერილი მონაცემებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ რაიონების მიხედვით აშკარა ლიდერია ქ. სოხუმი, ხოლო ბოლო წლების მიხედვით მე-2 პოზიციაზე დგას მრეწველობის დარგში - ოჩამჩირის რაიონი, მშენებლობაში - გუდაუთის რაიონი, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში - გაგრის რაიონი. ცალკე აღსანიშნავია, რომ ხე-ტყის დამზადებაში პირველ პოზიციაზე იმყოფება გაგრის ხე-ტყის კომბინატი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად რაიონულ ჭრილში ყველა გამოყოფილი დარგის შესაბამისად წლების მიხედვით შეიმჩნევა არასტაბილური რყევები, რომელიც სხვადასხვა სიტუაციისა და გარემოებებით არის განპირობებული. რეგიონს საერთოდ არ აქვს მდგრადი და სტაბილური განვითარების საფუძველი და წინაპირობები.

ამასთან, დაბალი ზრდის ტემპების ფონზე ყველა ამ დარგის მასშტაბი და განვითარების დონე საკმაოდ დაბალია, ცალკეულ რაიონებში შეიმჩნევა მასშტაბების შემცირებაც კი.

ამრიგად, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე რეგიონის სამომავლო წინსვლა და პერსპექტივები რთულად წარმოსადგენია. ეს განპირობებულია ძირითადად, ერთი მხრივ, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მონოპოლიური, კლანური და კორუმპირებული ბუნებით, მეორე მხრივ კი - პოლიტიკური არასტაბილურობით.

5. დასკვნები

რაიონების ჭრილში აღნიშნული საკითხების მიხედვით არსებული სტატისტიკური მონაცემების გაშუქებით და განხილვით შეიძლება დავაფიქსიროთ გარკვეული ტენდენციები და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები:

1. ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის კრებულებში დაფიქსირებულია ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები; შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკურ აღრიცხვიანობის მიმართულებით ოკუპირებულ აფხაზეთში სერიოზულ ქაოსს აქვს ადგილი, განსაკუთრებით მოსახლეობის აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით;
2. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ზოგადად ყველა რაიონში შრომის ბაზრის მდგომარეობა არის ძალიან მძიმე და არასტაბილური ტენდენციებით ხასიათდება;
3. ოკუპირებული აფხაზეთი განიცდის სერიოზულ დასაქმების პრობლემას შესაბამისი სამუშაო ადგილების დეფიციტისა და, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობის გამო;
4. დასაქმებულების ხელფასები საშუალოწლიური მაჩვენებლების მიხედვით ძალიან დაბალია და აქედან გამომდინარე - რეგიონში არის მძიმე სოციალური მდგომარეობა;
5. არ არსებობს შრომის ბაზრის დამარეგულირებელი ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზა (არაფერი რომ არ ვთქვათ უმუშევრობის აღრიცხვიანობის მეთოდოლოგიის არ არსებობაზე);
6. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში რეალურად არსებული უმუშევრობის მაღალი დონე (უფრო ქალაქებში, ვიდრე სოფლად რაიონებში) განაპირობებს არა მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონესა და სიღარიბეს, არამედ ამ მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) დეგრადირებასაც (აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით წინა პლანზე გამოსულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა: კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია, ემიგრაციის მაღალი დონე და ა.შ.);
7. სხვა პრობლემებთან ერთად, უმუშევართა მატერიალური მხარდაჭერის არარსებობის გამო, უმუშევარ მოსახლეობაში ე.წ. მთავრობის მიმართ დომინირებს იმედგაცრუებისა და უნდობლობის

განწყობები, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ნაკლებად ნაწილდება ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები;

8. რაიონების მიხედვით შეიმჩნევა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის დაბალი ზრდის ტემპები და განვითარების საკმაოდ დაბალი დონე;

9. რაიონების მიხედვით დარგებისა და ეკონომიკური საქმიანობების არსებული საკმაოდ დაბალი ზრდის ტემპებისა და, ბევრ შემთხვევაში, ბოლო წლებში მასშტაბების შემცირებების გამო (განსაკუთრებით სუსტი და მახინჯი სახელისუფლებო და საზოგადოებრივი ინსტიტუციური განვითარების ფონზე) რეგიონის სერიოზულ წინსვლასა და განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გამოყენებული წყაროები:

1. Абхазия в цифрах - 2004. Статистический ежегодник, Сухум, 2005; Абхазия в цифрах - 2010. Статистический ежегодник. Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум, 2011; Абхазия в цифрах - 2013. Статистический ежегодник, Сухум, 2014; Абхазия в цифрах - 2014. Статистический ежегодник, Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум, 2015; Абхазия в цифрах - 2015: Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум: ИП «Лагвилава А.», 2016; Абхазия в цифрах - 2016: Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум: ИП «Лагвилава А.», 2017;
2. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%90%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D0%B8 - Население Абхазии;
3. „მოსახლეობის დინამიკა საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა“, თბილისი, 2017 (გვ. 2) - პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთობლივი პროექტის ფარგლებში;
4. Аналитический отчет по результатам социологического исследования в рамках разработки «Стратегии социально-экономического развития Республики Абхазия до 2025 г.», Сухум – 2015 (с. 15);
5. youtube.com/watch - По статистике в Абхазии безработных нет – 1.02.2018;
6. https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20150702/1015112641.html - 02.07.2015;
7. https://www.youtube.com/watch?v=kbmEwa8zahg - Джон Агрба рассказал о занятости населения в Абхазии – 1.02.2018;
8. http://ugsra.org/novosti.php?ELEMENT_ID=182 - 04.08.2016;
9. youtube.com/watch – Гастарбайтеры в Абхазии – 21.01.2013.

დანართი 1

ცხრილი 1

2017 წლის დასაწყისისთვის აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობა, ეროვნებებისა და რაიონების ჭრილში

ეროვნება	ეროვნება, სულ	ქ. სოხუმი	გაგრის რ-ნი	გუდაუთის რ-ნი	სოხუმის რ-ნი	გულრიფშის რ-ნი	ოჩამჩირის რ-ნი	ტყვარჩელის რ-ნი	გალის რ-ნი
მოსახლეობა, სულ	**243,936**	**64,640**	**39,549**	**38,112**	**11,519**	**17,871**	**25,569**	**16,425**	**30,251**
აფხაზი	124,785	43,503	15,226	31,215	3,502	6,004	19,867	5256	212
რუსი	22,341	9,567	6,248	1,906	864	2,019	997	558	182
სომეხი	41,845	6,335	15,186	3,735	6,462	8,363	1,688	49	27
ქართველი	43,562	1,810	988	435	230	786	2,046	9,527	27,680
უკრაინელი	1,761	711	514	152	57	160	77	66	24
ბელორუსი	268	65	79	38	12	35	20	13	6
ბერძენი	1,350	646	237	114	149	125	51	16	12
მეგრელი	3,251	65	3	19	2	3	409	723	2,027
ოსი	595	194	191	76	11	35	18	49	15
თათარი	345	129	79	38	34	35	8	16	6
თურქი	745	194	79	38	92	71	205	66	-
ბოშა	285	259	3	11	3	5	2	2	-
ესტონელი	357	64	237	8	9	35	2	2	-
სხვა დანარჩენი	2,446	1,098	473	267	92	195	179	82	60

ცხრილი 2

დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა (რაიონების მიხედვით), კაცი

(ქალაქების, რაიონების, ე.წ. სახელმწ. კომპ-ისა და ე.წ. რესპ-ური საკუთრების ოფიციალურად აღრიცხული ცალკეული საწარმოების მიხედვით)

	2010	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
სულ	**38,293**	**40,541**	**41,566**	**41,460**	**40,581**	**42,277**	**41,408**
ქ. სოხუმი	18,949	20,507	21,516	20,981	21,668	23,605	24,260
გაგრის რაიონი	7,495	7,721	7,421	7,237	6,935	6,653	6,515
გუდაუთის რაიონი	3,259	3,377	3,734	3,853	3,412	3,611	3,311
სოხუმის რაიონი	828	811	875	935	732	863	738
გულრიფშის რაიონი	2,093	2,157	2,144	2,520	2,486	1,918	1,175
ოჩამჩირეს რაიონი	2,303	2,367	2,330	2,337	2,115	2,202	2,388
ტყვარჩელის რაიონი	1,785	1,938	1,873	1,747	1,586	1,643	1,327
გალის რაიონი	1,581	1,663	1,673	1,850	1,647	1,782	1,694

ცხრილი 3

დასაქმებულთა საშუალო წლიური ხელფასები (რაიონების მიხედვით), აშშ $

(ქალაქების, რაიონების, ე.წ. სახელმწ. კომპ-ისა და ე.წ. რესპ-ური საკუთრების ოფიციალურად აღრიცხული ცალკეული საწარმოების მიხედვით)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	**196.1**	**256.8**	**269.2**	**300.8**	**256.3**	**148.3**	**153.5**
ქ. სოხუმი	208.7	279.7	289.8	320.3	281.8	169.1	176.0
გაგრის რაიონი	207.6	246.2	245.6	285.3	231.0	149.4	142.6
გუდაუთის რაიონი	186.9	230.3	257.8	273.5	225.2	119.3	125.5
სოხუმის რაიონი	212.3	266.4	315.6	359.9	317.5	129.0	148.2
გულრიფშის რაიონი	182.8	254.6	328.1	364.7	223.0	101.3	124.0
ოჩამჩირეს რაიონი	155.1	215.7	191.7	239.1	200.1	129.6	129.7
ტყვარჩელის რაიონი	152.6	221.3	238.1	245.3	255.4	125.3	101.8
გალის რაიონი	128.6	174.7	177.3	209.8	188.3	104.3	119.4

ცხრილი 4

რუსული რუბლის საშუალოწლიური კურსი
აშშ დოლართან მიმართებაში (2009-2017)

(**წყარო:** რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მონაცემთა ბაზა სავალუტო კურსებთან დაკავშირებით)

	აშშ დოლარი	**რუსული რუბლი**
2009	1	31.83
2010	1	30.36
2011	1	29.39
2012	1	31.08
2013	1	31.85
2014	1	38.61
2015	1	61.07
2016	1	66.08

ცხრილი 5

მიგრაციული სიტუაციის მონაცემები

	2011	2012	2013	2014	2015	2016
მიგრაციულ აღრიცხვაზე აყვანილი	4,606	2,469	975	2,682	3,560	4,652
მათ შირის:						
მამაკაცები	3,864	1,955	827	2,386	3,092	4,108
ქალები	302	131	68	296	468	544
სამუშაოს შესრულებაზე ნებართვების გაცემა	1,800	1,243	3,670	3,253	4,015	6,661
ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები (აშშ $)	224,055	187,645	397,017	288,422	255,690	387,265

ცხრილი 6ა

სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების მონაცემები (რაიონების მიხედვით) - 2016 წელი

	მრეწველობა		**სატყეო მეურნეობა**	**კაპიტალური მშენებლობა**	**საცალო ვაჭრობა**	**მომსახურების სფერო**	**ფინანსები**	
	წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	**რეალიზებული სამრეწველო პროდუქცია,** აშშ $	**ხე-ტყის დამზადება,** m^3	**ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოები,** აშშ $	**საქონელ-ბრუნვა,** აშშ $	**ფასიანი მომსახურების მოცულობა,** აშშ $	**მომგებიანი საწარმოებისა და ორგან-ების რ-ობა**	**მოგების თანხა,** აშშ $
სულ	78,097,760	88,473,063	21,889	39,310,679	225,027,240	128,945,218	672	124,686,743
ქ. სოხუმი	48,040,254	59,927,360		17,917,571	148,718,220	67,663,438	359	50,811,138
გაგრის რაიონი	5,310,230	5,329,903	14,739	3,320,732	43,271,791	42,430,387	156	42,088,377
გუდაუთის რაიონი	1,891,646	1,888,619	1,238	8,871,368	15,679,479	13,801,452	68	11,027,542
სოხუმის რაიონი	658,292	721,852	1,941	981,785	10,579,600	649,213	15	7,996,368
გულრიფშის რაიონი	2,835,956	1,467,917	1,492	2,225,180	2,616,525	1,266,646	22	4,458,232
ოჩამჩირეს რაიონი	17,430,387	17,179,176	1,817	5,171,758	1,029,055	1,206,113	31	7,808,716
ტყვარჩელის რაიონი	796,004	809,624	397	736,277	570,520	449,455	6	408,595
გალის რაიონი	1,134,987	1,148,607	265	86,006	2,562,046	1,478,510	15	87,772

ცხრილი 6ბ

სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების მონაცემები (რაიონების მიხედვით) - 2015 წელი

	მრეწველობა		სატყეო მეურნეობა	კაპიტალური მშენებლობა	საცალო ვაჭრობა	მომსახურების სფერო	ფინანსები	
	წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	რეალიზებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	ხე-ტყის დამზადება, მ^3	ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოები, აშშ $	საქონელ-ბრუნვა, აშშ $	ფასიანი მომსახურების მოცულობა, აშშ $	მომგებიანი საწარმოებისა და ორგან-ბის რ-ობა	მოგების თანხა, აშშ $
სულ	70,592,762	86,885,541	30,020	20,618,475	224,080,563	125,626,330	673	55,662,354
ქ. სოხუმი	41,082,364	55,205,501		16,680,302	154,837,072	69,685,606	349	38,066,153
გაგრის რაიონი	5,711,478	5,745,865	16,943	1,263,879	44,868,184	38,786,638	171	6,034,059
გუდაუთის რაიონი	2,277,714	2,267,889	1,126	1,057,098	12,444,735	12,564,270	67	3,870,967
სოხუმის რაიონი	689,372	661,535	2,936	664,653	5,585,393	592,762	16	1,047,977
გულრიფშის რაიონი	1,932,208	1,152,775	1,856	421,193	2,470,934	1,198,624	24	1,827,411
ოჩამჩირეს რაიონი	14,021,614	14,008,514	5,994	312,924	993,941	1,000,491	22	4,647,126
ტყვარჩელის რაიონი	4,021,614	6,972,326	906	177,823	689,372	414,278	9	65,498
გალის რაიონი	856,394	871,131	259	40,599	2,190,928	1,383,658	15	103,160

ცხრილი 6გ

სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების მონაცემები (რაიონების მიხედვით) - 2014 წელი

	მრეწველობა		სატყეო მეურნეობა	კაპიტალური მშენებლობა	საცალო ვაჭრობა	მომსახურების სფერო	ფინანსები	
	წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	რეალიზებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	ხე-ტყის დამზადება, მ^3	ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოები, აშშ $	საქონელ-ბრუნვა, აშშ $	ფასიანი მომსახურების მოცულობა, აშშ $	მომგებიანი საწარმოებისა და ორგან-ბის რაოდენობა	მოგების თანხა, აშშ $
სულ	75,262,885	87,565,397	18,727	93,884,742	315,242,165	155,066,045	667	57,150,997
ქ. სოხუმი	45,029,785	58,513,338		69,851,512	211,797,462	94,384,874	353	44,998,705
გაგრის რაიონი	6,500,906	6,653,716	13,133	2,583,426	73,584,563	43,240,093	153	5,413,105
გუდაუთის რაიონი	4,037,814	4,035,224	48	5,011,740	17,394,457	11,339,031	67	3,322,973
სოხუმის რაიონი	559,440	554,260	86	7,071,517	3,322,973	934,990	14	1,139,601
გულრიფშის რაიონი	4,061,124	2,351,722	2,791	233,923	3,701,113	1,520,331	30	644,910
ოჩამჩირეს რაიონი	6,625,226	6,612,276	1,670	4,849,093	1,528,101	1,437,451	25	1,388,241
ტყვარჩელის რაიონი	7,640,507	8,018,648	759	4,283,527	1,069,671	567,210	13	152,810
გალის რაიონი	808,080	826,210	240	–	2,843,822	1,642,061	12	90,650

ცხრილი 6დ

სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების მონაცემები (რაიონების მიხედვით) - 2013 წელი

	მრეწველობა		სატყეო მეურნეობა	კაპიტალური მშენებლობა	საცალო ვაჭრობა	მომსახურების სფერო	ფინანსები	
	წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	რეალიზებული სამრეწველო პროდუქცია, აშშ $	ხე-ტყის დამზადება, m^3	ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოები, აშშ $	საქონელ-ბრუნვა, აშშ $	ფასიანი მომსახურების მოცულობა, აშშ $	მომგებიანი საწარმოებისა და ორგან-ბის რაოდენობა	მოგების თანხა, აშშ $
სულ	76,194,662	85,654,631	21,607	116,228,185	374,091,052	180,973,312	783	69,610,675
ქ. სოხუმი	46,841,444	57,849,293		75,078,766	225,899,529	106,065,934	413	55,375,196
გაგრის რაიონი	7,783,359	7,642,072	16,557	6,960,916	103,704,867	53,836,734	181	7,478,806
გუდაუთის რაიონი	3,475,667	3,475,667	327	10,224,260	29,607,535	14,003,139	84	3,974,882
სოხუმის რაიონი	1,560,439	1,510,204	943	8,428,169	3,557,299	1,098,901	20	788,069
გულრიფშის რაიონი	6,389,324	3,657,770	832	2,570,530	4,879,120	1,664,050	31	866,562
ოჩამჩირეს რაიონი	4,907,378	5,145,996	1,856	9,195,598	1,726,844	1,657,770	25	822,605
ტყვარჩელის რაიონი	4,401,883	5,510,204	888	3,226,492	1,218,210	784,929	13	160,125
გალის რაიონი	835,164	863,422	204	543,450	3497,645	1,861,852	16	144,427

ცხრილი 7ა

ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (რაიონების მიხედვით), აშშ $

	2012	2013	2014	2015	2016	
					დოტაციებით	დოტაციების გარეშე
რესპუბლიკური ბიუჯეტი	**266,875,804**	**173,277,864**	**166,379,176**	**64,183,723**	**111,092,315**	**121,507,264**
ქ. სოხუმი	21,499,356	26,665,620	20,626,780	16,232,192	16,614,709	15,644,673
გაგრის რაიონი	8,204,633	11,274,725	8,632,478	6,616,996	64,088,98	5,897,397
გუდაუთის რაიონი	3,574,646	7,481,946	7,101,787	5,962,010	5,904,963	4,297,820
სოხუმის რაიონი	987,773	1,579,277	1,476,301	1,064,352	1,322,639	898,910
გულრიფშის რაიონი	1,724,581	3,158,555	2,810,152	1,989,520	2,487,893	1,071,428
ოჩამჩირეს რაიონი	1,229,086	4,081,632	3,926,443	3,286,392	3,719,733	1,761,501
ტყვარჩელის რაიონი	1,759,974	2,976,452	2,688,422	2,066,481	2,035,411	526,634
გალის რაიონი	601,673	3,274,725	3,214,193	2,464,385	2,831,416	814,164
კონსოლიდირებული ბიუჯეტი	**306,457,528**	**233,770,800**	**216,855,736**	**103,866,055**	**152,419,794**	**152,419,794**

ცხრილი 7ბ

ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (რაიონების მიხედვით), აშშ $

	2012	2013	2014	2015	2016
რესპუბლიკური ბიუჯეტი	**262,873,230**	**182,800,627**	**162,261,072**	**70,263,631**	**105,693,099**
ქ. სოხუმი	28,857,786	29,098,901	25,721,315	16,042,246	18,308,111
გაგრის რაიონი	8,359,073	11,215,070	9,106,449	6,317,340	6,240,920
გუდაუთის რაიონი	4,350,064	8,458,398	7,285,677	6,338,627	6,030,569
სოხუმის რაიონი	1,692,406	1,792,778	1,743,071	1,159,325	1,348,365
გულრიფშის რაიონი	1,811,454	3,108,320	3,009,583	1,938,758	2,332,021
ოჩამჩირეს რაიონი	1,560,489	4,587,127	4,200,984	3,427,214	3,713,680
ტყვარჩელის რაიონი	2,049,549	2,995,290	2,784,252	2,048,468	2,207,929
გალის რაიონი	4,681,467	5,698,587	3,307,433	2,446,373	2,767,857
კონსოლიდირებული ბიუჯეტი	**316,235,521**	**249,755,102**	**219,419,839**	**109,983,625**	**148,642,554**

დანართი 2

გალის რაიონში მოქმედი საწარმოები და ორგანიზაციები -

სამრეწველო საწარმოები:

1. ქალაქის პურკომბინატი „აფხაზხლებ“ - დირექტორი: *ჟანნა იურის ასული ადლეიბა*
2. სატყეო მეურნეობა „ლესხოზ“ - დირექტორი: *ვადიმ ლეონიდის ძე ჯოპუა*
3. შპს „გალნერუდპრომ“-ი - დირექტორი: *ადლეიბა დ.ა., ტაბაღუა გ.ს.*

სამშენებლო საწარმოები:

4. გალის ადმინისტრაციის სამშენებლო-სარემონტო დაწესებულება - დირექტორი: *ვალერიან ვალიკოს ძე ლეპსაია*
5. შპს „სერვის ენერგია“ - დირექტორი: *ვიაჩესლავ არტემის ძე ცაავა*
6. მუნიციპალური უნიტარული საწარმო „გალაგროპრომსტროისერვის“-ი - დირექტორი: *აიდამირ ბატირის ძე ბარსიროვი*

სასოფლო - სამეურნეო საწარმოები:

7. გალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო - დირექტორი: *ცვიჟბა ტ.კ.*
8. მუნიციპალური უნიტარული საწარმო „გალაგროპრომსერვის“-ი - დირექტორი: *ბერსიროვი ა.ბ.*
9. აგროსერვისცენტრი „ზარია ნაბაკები“ - დირექტორი: *თამაზ ბიძინას ძე მხეიძე*
10. შპს „კაპიტალ-ინვესტ პლუსი“ - გენერალური დირექტორი: *ჰენრიხ ნოდარის ძე ტუჟბა*
11. შპს „რტი“ - დირექტორი: *ზარანდია თ.მ.*

სავაჭრო საწარმოები:

12. შპს „კიტ“-ი - დირექტორი: *დავით ლავრენტის ძე ბერაძე*
13. შპს „ლიზის“-ი - დირექტორი: *მედეა ამირანის ასული ზარქუა*
14. შპს „ასსაინ“-ი - დირექტორი: *კორძაია ნ.ა*
15. შპს „პორშე“ - დირექტორი: *შაკაია ბ.ა*

მომსახურების სფერო:

16. გალის რაიონული საავადმყოფო - მთ. ექიმი - *გიორგი აპოლონის ძე შონია*
17. მმაჩის ბიურო - ხელმძღვანელი: *ნინო ანატოლის ასული აშუბა*
18. გალის რაიონის სახელმწიფო სანოტარო ბიურო - ნოტარიუსი: *იზოლდა ვენედის ასული ბჟანია*
19. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „გალ“-ი - მთ. რედაქტორი: *ნუგზარ ნურის ზე სალაყაია*
20. რაიონული კულტურის სახლი - დირექტორი: *გერგედავა დ.ი.*
21. გალის ჰუმანიტარული კოლეჯი - დირექტორი: *გუნდა გიორგის ასული კვარჩია*
22. საბავშვო მუსიკალური სკოლა - დირექტორი: *მიმოზა ვალიკოს ასული აკობია*

23. მუსიკალური სკოლა - დირექტორი: *მარინა რეზოს ასული ბასარია*
24. მუსიკალური სკოლა - დირექტორი: *ლეილა დალმატის ასული ქობალია*
25. შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი - დირექტორი: *მაია ჟილინოვის ასული კვეკვესკირი*
26. მუნიციპალური უნიტარული საწარმო გალის რაიონული ტელევიზია - დირექტორი: *თემირ ბასირის ძე კურბანოვი*
27. გალის რაიონის განათლების განყოფილება (რონო) - განყოფილების გამგე: *ბესლან ზამირის ძე ქანთარია*
28. საფეხბურთო კლუბი „სამურზაყანო“ - უფროსი: *ზურაბ შოთას ძე კიკნაველიძე*
29. გალის რაიონის სახანძრო-სამაშველო ნაწილი - უფროსი: *ემირ იპოლიტეს ძე ზუხბაია*
30. შპს „სამურზაყან-2010“ - დირექტორი: *ოთარ არჩილის ძე ყოლბაია*
31. შპს „ონ“ - დირექტორი: *ნუგზარ ომეხის ძე ფაჩულია*
32. გალის რაიონის მანქანა-ტექნოლოგიური სადგური - დირექტორი: *მანუჩარ გივის ძე ქობალია*
33. „სბერბანკ აბხაზიი“-ს გალის ფილიალი - დირექტორი: *ლინა გიორგის ასული ზაქარაია*
34. კომერციული ბანკის „ჩერნომორსკი ბანკ რაზვიტია“-ს გალის ფილიალი - დირექტორი: *ემზარ რაჟდენის ძე ქიშმარია*
35. უნიტარული საწარმო „გალის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ - დირექტორი: *ნუგზარ გრიგორის ძე სანგულია*
36. ტაქსების გაერთიანება შპს „გარუდა-ექსპრესი“ - დირექტორი: *გიორგი გიორგის ძე აჩბა*
37. რაიონული უნიტარული საწარმო „აბხაზსვიაზ“-ი - დირექტორი: *ემირ დავითის ძე შონია*
38. შპს „გალ-ოილ“-ი - დირექტორი: *ჯამბულ სენარდის ძე კორტავა*
39. „ჩერნომორენერგო“ გალის რეს-ი - დირექტორი: *ჯგერენაია ნ.დ.*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო